




დამტკიცებულია რექტორის 2019 წლის  
01 ივლისის №100 ბრძანებით, დანართი  
№1

ევროპის უნივერსიტეტის  
სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის  
დებულება

# დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	2
მუხლი 2. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის სტრუქტურა .....	3
მუხლი 3. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის მიზანი .....	3
მუხლი 4. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის ფუნქციები.....	3
მუხლი 5. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის უფროსი .....	4
მუხლი 6. დასკვნითი დებულებები.....	5





## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის დებულება (შემდგომში - „დებულება“) განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის მიზანს, დასაქმებული პირების ფუნქციას და საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2. უნივერსიტეტის სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

## მუხლი 2. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის სტრუქტურა

2.1. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის ხელმძღვანელი.

2.2. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის საქმიანობის განხორციელების პროცესში ჩართული არიან შესაბამისი დარგის ტრენერები, მოწვეული სპეციალისტები, ექსპერტები და ა.შ.

## მუხლი 3. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის მიზანი

სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის მიზანია, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე წამყვანი სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ასევე მის გარეთ.

## მუხლი 4. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის ფუნქციები

სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის ფუნქციებია:

ა) სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, თანამედროვე სწავლების მეთოდების მოძიება და დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, თანამედროვე სწავლების მეთოდების მიმართულებით ტრენინგების გადამზადება;



- გ) სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით სწავლების თანამედროვე მეთოდებში, როგორც უნივერსიტეტის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის სისტემატური ტრენინგ კურსების ორგანიზება;
- დ) თანამედროვე სწავლების მეთოდების საგანმანათლებლო პროგრამებში დანერგვის პროცესის ხელშეწყობა;
- ე) თანამედროვე სწავლებისთვის საჭირო ინფორმაციული ტექნოლოგიების, პროგრამული უზრუნველყოფის ან/და ინფრასტრუქტურული რესურსის მოძიება/შექმნა და დანერგვის ხელშეწყობა;
- ვ) სწავლების მიმართულებით, ინოვაციური იდეების განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა;
- ზ) თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

## მუხლი 5. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის უფროსი

სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის უფროსის ფუნქციებია:

- ა) ცენტრის საერთო ხელმძღვანელობა და მართვა;
- ბ) თანამედროვე სწავლების მეთოდების მოძიება სხვადასხვა გზებით, მათ შორის პარტნიორ უნივერსიტეტებში;
- გ) უნივერსიტეტში თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა და ამ მიმართულებით წინადადებების შემუშავება;
- დ) თანამედროვე სწავლების მეთოდების განვითარების გეგმის შემუშავება და შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრა; გეგმების შესრულების მონიტორინგი და პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება;
- ე) თანამედროვე სწავლების მეთოდების მიმართულებით, უნივერსიტეტის პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირების მომზადება/გადამზადების ხელშეწყობა;
- ვ) შესაბამისი ფაკულტეტების აქტიური ჩართულობით, მოძიებული თანამედროვე სწავლების მეთოდების უნივერსიტეტში დანერგვისთვის გეგმების შემუშავება და ქართულ რეალობაზე ადაპტირება;
- ზ) თანამედროვე სწავლების მეთოდების დანერგვის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების ანალიზი/გამომწვევი მიზეზების აღმოჩენა და მათი სამომავლო პრევენციული ზომების მიღება;
- თ) თავისი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, სხვა უფლებამოსილების განხორციელება.



## მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

6.1. სწავლების თანამედროვე მეთოდების ტრენინგ ცენტრის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

6.2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად.

